საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

საფეხური - სამაგისტრო

პროგრამა: ფილოსოფია

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა უნივერსიტეტში, რომელიც მოიცავს:

- წერით გამოცდას;
- ზეპირ გამოცდას.

მნიშვნელოვანია: მაგისტრანტობის მსურველმა ბაკალავრის დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი).

თითოეულ გამოცდაში მაგისტრანტობის მსურველი ფასდება 50-50 ქულით. თითოეულ გამოცდაში მან უნდა დააგროვოს მინიმუმ 26 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გამოეთიშება კონკურსს.

ზეპირი გამოცდა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

• არჩეული სფეროს შესახებ დარგობრივი ბაზისური ცოდნა

• მოტივაცია

• კომუნიკაციის უნარი

• აკადემიური მიღწევები

ზეპირი გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე. გამოცდაზე კანდიდატის საბაზისო ცოდნის გამოსავლენად დასმული იქნება კითხვები პროგრამით გათვალისწინებული საკითხების თემატიკიდან. მოტივაციის გამოვლენის მიზნით გასაუბრებისას კანდიდატმა უნდა ისაუბროს პროგრამისადმი საკუთარი ინტერესის შესახებ სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან. მიღწევების დასადასტურებლად კანდიდატმა უნდა წარმოაჩინოს თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი აკადემიური ან/და პროფესიული აქტივობების შედეგები. ასევე,

შეფასდება აპლიკანტის გამართული კომუნიკაციის უნარი და შემოწმდება ინგლისური ენაზე წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარი.

შეფასების სისტემა

დარგობრივი ცოდნა და ფილოსოფიის სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		10
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		10

მოტივაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		2,5
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		2,5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		2,5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		2,5

აკადემიური მოღწევები	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.)		5
აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		5
კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
დარგობრივ საკითხებზე გამართული კომუნიკაციის უნარი		5
ინგლისურ ენაზე წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარი (აპლიკანტს მოეთხოვება წაიკითხოს და განმარტოს დისციპლინით გათვალისწინებული საკითხებიდან მოცემული ინგლისურენოვანი ტექსტი)		5 მინ.3

<u>წერითი გამოცდა:</u>

წერით გამოცდაზე მოწმდება მაგისტრანტობის მსურველის დარგობრივი საბაზისო ცოდნა ფილოსოფიის ისტორიაში. წერილობით გამოცდაზე მოცემული იქნება 5 კითხვა/საკითხი, რომელზეც მაგისტრანტობის მსურველმა უნდა უპასუხოს. თითოეული ფასდება 10 ქულით.

შეფასების სისტემა:

9-10 ქულა – საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია;

7-8 ქულა – პასუხი სწორია, მაგრამ მოკლე; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის;

5-6 ქულა – პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები;

3-4 ქულა – პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა;

1-2 ქულა - პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია;

0 ქულა - პასუხი არ არის.

მაგისტრანტობის მსურველი წინასწარ უნდა გაეცნოს ლიტერატურას:

- უ. გათრი "ძველი ბერძენი ფილოსოფოსები"
- ჯ. ევანსი "ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეებში"
- გ. თევზაძე „ახალი დროის ისტორია",
- გ. თევზაძე „თანამედროვე ფილოსოფიის ისტორია".